

შპს „აუთლეთ სერვისი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება	2
1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.....	10
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
7. დისტრიბუციის ხარჯები	10
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
9. მოგება/ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	11
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	11
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	12
12. მარაგები	12
13. ძირითადი საშუალებები	13
14. არამატერიალური აქტივები	14
15. გასაყიდად გამიზნული აქტივი	14
16. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები.....	15
17. სესხები	15
18. გასაყიდად გამიზნული ვალდებულებები	15

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	5	2,771,059	15,822,456
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(2,341,460)	(10,765,160)
საერთო მოგება		429,599	5,057,296
დისტრიბუციის ხარჯები	7	(86)	(2,641,256)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(132,666)	(1,864,722)
ფინანსური ხარჯი		-	(586,603)
ფინანსური შემოსავალი		-	6,170
საკურსო მოგება/(ზარალი)		9,148	(151,175)
სხვა ხარჯები		(2,486)	(41,860)
სხვა შემოსავლები		40,970	199,200
მეკავშირე საწარმოს მოგების/ზარალის წილი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		344,479	(22,950)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	9	962,000	
წლის სრული შემოსავალი		1,306,479	(22,950)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 სექტემბერს:



დომიტრი ბერუაშვილი
დირექტორი

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "აუთლეთ სერვისი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	205,421	1,244,257
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	-	5,189,357
ავანსები მომწოდებლებთან		-	655,386
მოკლევადიანი სესხები		-	3,996
მარაგები	12	-	4,142,221
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	75,000
სხვა მიმდინარე აქტივები		15,116	90,212
სულ მიმდინარე აქტივები		220,537	11,400,429
არაფულადი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	-	864,663
არამატერიალური აქტივები	14	-	53,534
გასაყიდად გამიზნული აქტივი	15	14,240,000	-
სულ ფიქსირებული აქტივები		14,240,000	918,197
სულ აქტივები		14,460,537	12,318,626
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	16	11,295	577,375
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	17	-	4,228,945
საგადასახადო ვალდებულებები		-	9,352
გასაყიდად გამიზნული ვალდებულებები	18	6,906,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,917,295	4,815,672
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	-	832,822
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	832,822
სულ ვალდებულებები		6,917,295	5,648,494
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,528,556	4,286,700
გაუნაწილებელი მოგება		4,014,686	2,383,432
სულ საკუთარი კაპიტალი		7,543,242	6,670,132
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		14,460,537	12,318,626

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 სექტემბერს:

დირექტორი
დირექტორი



შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება /დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის		-836,650	-836,650
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	7,603,700		7,603,700
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(21,918)	(21,918)
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		(75,000)	(75,000)
კორექცია			-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	7,603,700	-933,568	6,670,132
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(758,144)	529,824	(228,320)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1,306,479	1,306,479
კორექცია		(205,049)	(205,049)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	6,845,556	697,685	7,543,242

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 სექტემბერს:



დიმიტრი ბერუაშვილი
დირექტორი

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10,510,525	(3,200,100)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,063,766)	(666,292)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(5,495,136)	4,957,900
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,048,377)	1,091,508
სავალუტო კურსის ეფექტი	9,541	(150,645)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,244,257	303,394
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	205,421	1,244,257

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 22 სექტემბერს:



დომიტრი ბერუაშვილი
დირექტორი

5-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

აუთლეთ სერვისი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2012 წლის ოქტომბერში და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 401976590.

ძირითადი საქმიანობა. შპს “აუთლეთ სერვისი“-ს ძირითადი საქმიანობაა ჰიგიენური საქონლის იმპორტი და დისტრიბუცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქ., N 36.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს შარმ ტრედიინგი.

შპს მეიდანზე თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს (შემდგომში ჯგუფი):

კომპანიის დასახელება	ინვესტიციის სახე	წილი %
შპს შაბა	ერთობლივი საწარმო	50%

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებულ მონაცემებს.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის

კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საადრიცხო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ღივიდენდები. ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,582,342	19,064,382
სხვა შემოსავალი	188,717	186,293
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	-	-3,428,219
სულ	2,771,059	15,822,456

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული/შეძენილი საქონელი	2,341,460	10,765,160
სულ	2,341,460	10,765,160

7. დისტრიბუციის ხარჯები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები	-	2,020,643
სარეკლამო ხარჯი	-	714
იჯარის ხარჯი	-	472,899
ტრანსპორტირების ხარჯები	86	110,638
ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება	-	31,532
სხვა	-	4,830
სულ	86	2,641,256

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასები	-	128,147
დაზღვევის ხარჯები	-	36,308
უიმედო ვალების ანარიცხები	126,167	459,751
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	-	268,229
ცვეთა და ამორტიზაცია	-	231,369
საბანკო ხარჯები	622	43,301
მივლინების ხარჯები	-	29,997
კომუნალური ხარჯები	73	505,937
საკანცელარიო ხარჯები	-	21,911
საკომუნიკაციო ხარჯები	-	23,768
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2,658	4,234
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	3,146	111,770
სულ	132,666	1,864,722

9. მოგება/ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან

	31 დეკემბერი 2023
შემოსავალი	18,659,000
თვითღირებულების ხარჯი	(12,199,000)
საერთო მოგება	6,460,000
სადისტრიბუციო ხარჯები	(3,213,000)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,398,000)
ფინანსური ხარჯები	(796,000)
ფინანსური შემოსავლები	2,000
კურსთაშორისი სხვაობები	(85,000)
სხვა ხარჯები	(43,000)
სხვა შემოსავლები	35,000
მოგება დაბეგვრამდე	962,000
მოგების გადასახადი	-
წლის სრული შემოსავალი	962,000

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	-	1,257
ფული ბანკში	205,421	1,243,000
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	205,421	1,244,257

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		5,803,725
სხვა დებიტორული დავალიანება		
მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	5,803,725
მინუს: უიმედო თანხების დაშვება		(614,368)
სულ	-	5,189,357

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები
ვადაგადაუცილებელი		1,882,394
0-დან 30 დღის ვადაგადაცილება		1,246,522
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული		855,507
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული		1,461,321
91 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული		357,980
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	0	5,803,725
უვადო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	0	614,368
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	0	5,189,357

12. მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	-	3,951,993
საქონელი ტრანზიტში		177,137
სხვა	-	13,091
სულ	-	4,142,221

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	მარკეტინგული აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	424,284	166,961	112,637	703,882
შემოსვლები	368,829	296,079	300	665,208.7
გადაფასება	-	-	-	-
გასხვისება და ჩამოწერა	(23,286)	-	-	(23,285.9)
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	769,828	463,041	112,937	1,345,805
რეკლასიფიკაცია	(769,828)	(463,041)	(112,937)	(1,345,805)
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	132,778	86,634	67,934	287,346
დარიცხვა წლის განმავლობაში	109,024	80,760	21,400	211,184.3
გასხვისება და ჩამოწერა	(17,388)	-	-	(17,388.0)
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	224,414	167,394	89,334	481,142
რეკლასიფიკაცია	(224,414)	(167,394)	(89,334)	(481,142)
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-	-
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	545,414	295,647	23,603	864,663
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-	-

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	66,844
დამატებები	44,540
გასხვისებები	
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	111,384
რეკლასიფიკაცია	-111,384
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	-
აკუმულირებული ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბერს	42,827
ცვეთის ხარჯი	15,024
აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	57,850
რეკლასიფიკაცია	-57,850
აკუმულირებული ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	-
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	53,534
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	-

15. გასაყიდად გამიზნული აქტივი

	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	964,000
არამატერიალური აქტივები	34,000
აქტივის გამოყენების უფლება	745,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,743,000
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	4,414,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,215,000
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	75,000
წინასწარ გადახდილი თანხები	643,000
მოკლევადიანი სესხები	3,000
ფული და მისი ექვივალენტები	147,000
სულ მიმდინარე აქტივები	12,497,000
სულ აქტივები	14,240,000

შპს “აუთლეთ სერვისი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	11,295	413,404
მიღებული ავანსები	-	1
გადასახდელი ხელფასები	-	163,970
სულ	11,295	577,375

17. სესხები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სს ბაზისბანკი	-	3,228,945
სს თიბისი ბანკი	-	1,000,000
სს თიბისი ბანკი	-	832,822
სს ვითიბი ბანკი	-	-
სულ კრედიტები და სესხები	-	5,061,767
კრედიტებისა და სესხების მოკლევადიანი ნაწილი	-	4,228,945
კრედიტებისა და სესხების გრძელვადიანი ნაწილი	-	832,822
სულ	-	5,061,767

18. გასაყიდად გამიზნული ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	572,000
გრძელვადიანი სესხები	313,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	885,000
მიმდინარე ვალდებულებები	
სესხები	4,766,000
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	372,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	813,000
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	70,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,021,000
სულ ვალდებულებები	6,906,000